დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის კონსტანტინე ზარნაძის

2024-2025 წლის ანგარიში

2021 წლიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. ვარ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და სარევიზიო კომისიების წევრი, ამასთანავე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს საქმიანობა:

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 16 საკრებულოს

სხდომა, საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს სხდომებზე განვიხილეთ - 104 დადგენილება და

742 განკარგულება.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი 17 უმრავლესობის სხდომას, რომლებზეც

განვიხილეთ 30 საკითხი;

საანგარიშო პერიოდში 2024 წლის 1 ნოემბრიდან მ/წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 1 6 სხდომას

დავესწარი, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული 324 საკითხი განვიხილეთ.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 (181 დადებითი, 3 გადადებული)

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული)

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი

სარევიზიო კომისია:

საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2025 წლის 28 იანვარს დამტკიცებულ იქნა 2025 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც, წლის განმავლობაში კომისია თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას ახორციელებს. დამტკიცებული გეგმა მოიცავს შესამოწმებელ ორგანიზაციებს, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ების, ააიპ-ების და შპს-ების შემოწმებას შერჩევითი მეთოდით.

„სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და შემოწმდა 11 ორგანიზაცია. შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 14 კომისიის სხდომა, მათგან დავესწარი 13 კომისიის სხდომას, სადაც განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 31 საკითხი.

მაჟორიტარული საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეულად ვატარებდი მოქალაქეთა მიღებას

ჩემს წარმომადგენლობაში - ორ მისამართზე;

• სულ ჩატარდა 45 მოქალაქეთა მიღება;

• ინდივიდუალურად შევხვდი 1000-მდე მოქალაქეს;

გასვლითი შეხვედრები

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ჩავატარე 60-მდე გასვლითი შეხვედრა სხვადასხვა ლოკაციაზე. დაისახა გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის გზები; შეხვედრები შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს:

- ინფრასტრუქტურულს
- კეთილმოწყობას;
- სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას და ა. შ.

გარდა ამისა, მაჟორიტარული საქმიანობის ფარგლებში - ჩემს წარმომადგენლობას ყოველდღიურად სტუმრობს ათეულობით მოქალაქე და ეწევათ შესაბამისი კონსულტაცია/ დახმარება;

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ შესრულებული სამუშაოები

- საგზაო სამუშაოები შესრულდა 70 მისამართზე, 74 758 კვ.მ.- 10 289 478 ლარი;
- მიწისქვეშა კომუნიკაციები (სანიაღვრე - წყალარინება) მოეწყო-რეაბილიტირდა 29 მისამართზე- 2 005 014 ლარი;
- სკვერების მოეწყობა - რეაბილიტაცია 7 მისამართზე განხორციელდა - 3 102 798ლარი;
- სპორტული მოედანი მოეწყო/რეაბილიტირდა 6 მისამართზე-

512 357 ლარი;

- გრუნტის დამჭერი კედელის მოწყობა 5 მისამართზე განოხრციელდა - 496 490 ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში - ჯამში 172 პროექტი განხორციელდა - 5 144 955 ლარი; მათ შორის :

- სახურავებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია 46 მისამართზე- 1 389 131 ლარი;

- ლიფტების მოწყობა - 49 მისამართზე- 2 045 488 ლარი;
- მიწისქვეშა კომუნიკაციები მოწესრიგდა 35 მისამართზე- 1 094 873 ლარი;

სოციალური პროგრამებისთვის ამ საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა - 7 200 000 ლარი

მათ შორის :

- ოპერაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინსდა 4073 მოქალაქეს
- მედიკამენტური მკურნალობა დაუფინანსდა 4308 მოქალაქეს.
- მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია 2043 მოქალაქეს.
- ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა 118 ოჯახი,

(ყოველწლიურად 6 625 ბენეფიციარი სარგებლობს უფასო სასადილოს პროგრამით და იღებს სააღდგომო და საახალწლო ნობათს.)

რაც შეეხება - სპორტულ, კულტურულ და შემეცნებიი ღონისძიებებს - 2024 წლის 1 ნოემბრიდან - 2025 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, გლდანის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარდა 9 ღონისძიება.

საკრებულოს წევრი

კონსტანტინე ზარნაძე